

კომუნისტური  
სხარა და  
მხარეებ!

ახალი წელი ხელს აწერს...

სტალინის ბიბლიოთეკა



ფართო მოხმარების  
სამრავლო საკონდის ნარმთე  
ბადიდავისა და მისი სარის  
ბაუმბოხასაბის

კომუნისტური  
1954

# ნ ი ა ნ ბ ი

### ახალი წელი გათენდა



ბონის მთავრობა ახალ წელს  
თოფ-იარაღით დარაჯობს, —  
რადგან გრძნობს უკვე წინასწარ  
მერმისი წარხულს არა სჯობს!

აწ ველარაგის გაძარცვავს,  
უწინ თუ გაუძარცვია,  
თავის იმედი არა აქვს,  
თუმცა ჯავშანი აცვია!

ვიციტ ჩვენ, წელი ახალი,  
წყველიადშიც გამონათებს —  
იგი მშვიდობის მომხრეა,  
მშვიდობას არ უღალატებს!

ვიციტ ჩვენ, ბონის მთავრობის  
პატრონსაც ჯავრი რად ახრჩობს. —  
ახალი წელი გათენდა! —  
თოფით ამოოდ სდარაჯობს!

გოგოთხურ მიგრიაული

## თოვლის

ოცდათერთმეტი დეკემბრის საღამო ხანია. რამდენიმე საათი და... ახალი წელიც შემობრძანდება სიხარულით, ბედნიერებითა და ყიეინით.

გარეთ ხვავიანად თოვს. მეგობრები ახალგაზრდა ინჟინრის ვახტანგის ბინაში შეკრებილან, ახალი წლის შესახვედრ ბალ-მასკარადზე წასასვლელად გამზადებულან. ჯერ ადრეა, ამიტომ ფანჯარასთან მოუყრიათ თავი, ოთახში სინათლე ჩაუქრიათ და უხმოდ შეცქერიან თოვლის ფიფქებს, რომლებიც ელექტროლამპიონების სხივებქვეშ თეთრი პეპლებივით დაფრინავენ.

სიჩუმე ვახტანგმა დაარღვია:

— რა ლამაზი ფიფქებია!.. — აღტაცებულად წამოიძახა მან, ერთხანს შეჩერდა და შემდეგ განაგრძო. — სწორედ შარშან, ახალ წელს ერთმა თოვლის ფიფქმა გონება შემირყია. თქვენთვის არც კი მიაშინია, ვაგიკვირდებათ რომ მოგიყვით. ოთახში მყოფნი სმენად გადაიქცნენ და ვახტანგმა დაიწყო:

— შარშანწინ, ერთ დღეს, უცნაური წერილი მივიღე. ჩვენს ქარხანაში მომუშავე ხარატი ქალიშვილი მწერდა. მასში ყველაფერი უცნაური იყო. სიტყვებს ალაგ-ალაგ ასოები აკლდა... ბევრგან მთელი წინადადება იყო წაშლილი... სჩანდა წერილი დიდი სულიერი დაძაბვის შედეგი იყო. ქალიშვილი კრძალვითა და რიღით, ყოყმანით თავის სიყვარულზე მწერდა და თავის გულწრფელ გრძნობას ჩემს პატიოსნებას აბარებდა.

იმ ქალიშვილს ქარხანაში ხშირად ვხვდებოდი. არასოდეს ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის, რომელსაც მხოლოდ თვალები ჰქონდა ცისფერი და სხვა მხრივ არაფრით გამოირჩეოდა. ჩუმი იყო, ჩუმად მუშაობდა. არც თავის გარეგნობაზე ზრუნავდა დიდად.

წერილი უპასუხოდ დავტოვე, მით უფრო, იმ ხანებში მე თამარით ვიყავი გატაცებული და, მოგეხსენებათ, ლამაზი თამარის გვერდით ვერც ერთი ქალიშვილი თავს მაღლა გაბედულად ვერ ასწევდა.

თამარი!.. ვინ არ გაუტაცნია ჩვენს ლამაზ მემანქანე ქალიშვილს, რომელიც მთელი დღე ან საბეჭდო მანქანას აჩხაკუნებდა, ან თავისი სახის მორთვით იყო გართული. ყველაფერი მომწონდა მისი, მხოლოდ ერთს ვერ შევეგუე, რომ მას სტომატოლოგიური ინსტიტუტი დაუმთავრებია და ქარხანაში მემანქანედ მუშაობს. მაგრამ ამ საკითხზე თამარს პასუხი მუდამ მზად ჰქონდა. თურმე, შინ დედა ავად ჰყავდა და მისი რაიონში წასვლა არ შეიძლებოდა. ეს ამბავი არ დაუჯერეს და კბილის ექიმი იძულებული გახდა მემანქანედ წასულიყო.

ხოლო იმ წერილის მოწერის შემდეგ ხშირად ცისფერთვალეებიანი ქალიშვილის დაქინებული მხერა დამიჭერია. შორიდან თან დამყვებოდა. თეატრში წავიდოდი, თითქოს შემთხვევით ისიც იქ იყო. კინოში ვიყავი, ისიც იქ დამხვდებოდა. მე მხოლოდ თამარი მიდგა თვალწინ. თამარი კი თითქოს არ მიშორებდა, მაგრამ არც მიახლოვდებოდა.

ახალ წელს რამდენიმე დღე აკლდა, როდესაც ჩემი დაქინებული თხოვნის შემდეგ, თამარმა პირობა მომცა, თუკი მას ქარხნის კულტსახლში საახალწლოდ გამართულ ბალ-მასკარადზე ვიცნობდი, მისგან ჩემი სიყვარულის პასუხსაც მივიღებდი.

შარშანაც ჩვენი ქარხნის კულტსახლში მოაწყეს საახალწლო ბალ-მასკარადი.

საათმა თორმეტჯერ რომ ჩამოჰკრა, კლუბის შუაგულში გამართული ჩვენი ნაძვის ხე აინთო. ხელიხელჩაკიდებულნი ნაძვის ხეს ირგვლივ შემოვერტყით და ასე სიცილ-ხარხარით, სიმ-



დიდი იმედით კალენდარს ფურცელი ჩამოახია, —  
დახვდა იქ ძველი ნაცნობი და გადმოსძახა: —ახია!

# ფიფქი

ღერით, ცეკვითა და თამაშით შევხვდით შარშანდელ ახალ წელს.

გასაგებია, რომ მე თამარს დავეძებდი. საერთო სიმზიარულეში, ხომ იცით, ერთი ვინმე გამოიჩინეს ხოლმე თავს. თანდათანობით ერთმა ქალიშვილმა, რომელიც თოვლის ფიფქის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ყველას ყურადღება მიიპყრო: ყოველ მოძრაობისას მრავალფერად ბრწყინავდა და თოვლის ფიფქით ლამაზად დაფარფატებდა... თუ არა თამარი, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი ორიგინალური და კარგი? მართალია, გამოცვლილი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ თამარის ხმას როგორ ვერ ვიცნობდი!.. ვცდილობდი მუდამ მის გვერდით ვყოფილიყავი. არც ის გამიზბოდა. რომ იცოდეთ, რა შესანიშნავად ცეკვავდა, რა მსუბუქი და ნაზი იყო მისი ხელი, რა მომაჯადოებელი სილამაზისა იყო მისი ტანი, რა შესანიშნავად ლაპარაკობდა სიყვარულზე, მეგობრობაზე... რამდენი ლექსი იცოდა ზეპირად, რომლებსაც ცეკვის დროს ყურში ჩამჩურჩულებდა ხოლმე. თავი ისე მეჭირა, თითქოს „თოვლის ფიფქს“ ვერ ვცნობდი, მაგრამ ოცნებაში იმ წუთს ვხედავდი, როდესაც იგი ნიღაბს მოიშორებდა და თავისი ხმით მეტყვოდა: „ჩემო ვახტანგ, მეც მიყვარხარ!..“ მოკლედ რომ ვთქვათ, სიხარულის მეშვიდე ცაზე ვიყავი. მაგრამ ამ სიხარულს ერთი რამ მიფუჭებდა, როგორც კი „თოვლის ფიფქს“ მოვშორებოდი, ვიღაც „დომინოს“ ტანსაცმელში გახვეული ქალიშვილი გვერდით დამიდგებოდა, ნიღაბქვეშ მის ცისფერ თვალებს ვხედავდი. ჩემთვის სიტყვის თქმას რომ დააპირებდა, იმ წუთსავე გავშორდებოდი და ჩემი გულის დედოფლისკენ გავწევდი.

ზეიმის დასასრულს ცოტა-ღა უკლდა, როცა მოვახერხე და ჩემი „თოვლის ფიფქი“ კუთხეში, მოფარებულ ადგილას

დავიპარტოხე. დრო ვიხელთე, სახიდან ნიღაბი მოვაშორე და... სათქმელი სიტყვა ყელში გამეჩხირა. გაოცებისაგან მხოლოდ „თა...“ წამოვიძახე. ჩემს წინ ცისფერთვალეზიანი ქალიშვილი იდგა. მან ერთი კი შემომხედა, ტუჩებზე მომდგარი სიცილი ძლივს შეიმავრა და უცებ გაუჩინარდა. იმ საღამოს „თოვლის ფიფქი“ კლუბში უკვე არ გამოჩენილა.

ხოლო როდესაც „დომინოს“ მივუახლოვდი და სახიდან ნიღაბი მოვაშორე, (რაც მისგან ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწვევის გარეშე მოვახდინე), „დომინოს“ ნიღაბქვეშ თამარი დავინახე.

იმ დღიდან უკვე მე დავკარგე მოსვენება. მთელი წელი ცისფერთვალეზიანი ქალიშვილის ნაკვალევს დავდე. თეატრში წავა, მეც იქ ვარ, კინოში წავა, მეც იქ დავხვდები, მაგრამ იგი ახლოსაც არ მიკარებს. ისე მიცქერის, თითქოს მისთვის არც კი ვარსებობდე... ალბათ ჩემგან მიყენებული წყენა ჯერ კიდევ არ დავიწყებია.

გუშინწინ შემთხვევით შემხვდა და რომ არ მოვეშვი, ასე მითხრა, თუკი მას ქარხნის მიერ საახალწლოდ გამართულ ბალმასკარადზე ვიცნობ, მაშინ... აქ სიტყვა არ დაამთავრა და ისე გაუჩინარდა, როგორც შარშან ახალი წლის საღამოს. როგორ ფიქრობთ, ისევ თოვლის ფიფქად მომეგვლინება, თუ სხვა ტანსაცმლით მოირთვება?

ვახტანგი დადუმდა. სდუმდნენ მისი მეგობრები და ფანჯრიდან თოვლის ფიფქებს შესცქეროდნენ, რომლებიც ელექტროლამპიონების სხივებქვეშ თეთრი პეპლებივით დაფრინავდნენ...

გივი გოგიჩაიშვილი

შინაყუდა

ზის, თამბაქოს მსუბუქ ბოდში გახვეული, ისადიდებს, წამონვება მხარ-თეძოზე;

არც ხაღხშია, არც საქმეში გარეული, და ოცნებით მისდევს ცაში ანგელოზებს.

მიწიერი საქმეები არ ანუხებს, პოლიპივით მამაზუა მინდობილი;

თუმცა მამულს ურჩევნია მამაც ჰქუხდეს, და მამაზე უკეთესი იყოს შვილი.

მიუღია უმადლესი განათლება, მოუხდია ამით ვადი საუკუნო.

ამბობს: „კერა ურემოდაც არ ჩაქრება, სოფლელი ვარ, რომ ტრაქტორი ვაგუგუნო?“

ურემოდაც მოუვლიან ბაღია-ბაღებს, აგრონომთა არმია ჰყავს საქართველოს“.

და ხედნაკვრით მხოლოდ ბუხარს გააჩაღებს, რომ მიეცეს კვდავ ოცნებას სასახელს...

ნეტავ რაა, რა სჭირს ამ ჩვენს შინაყუდას? ასე, ჩვენდა სასაცილოდ რატომ წახდა? —

სხვის ნაშრომს რომ დაუფდა ვით საკუთარს, და ღედ-მამის იმედით რომ დაოჯახდა!..

შინაყუდამ დროა თვალი გაახილოს, — საოცნებოდ ღოგინზე რომ დასდო თავი,

სამწუხარო არ დაურთოს სასაცილოს და მოქნარებით არ მოგვიკვდეს საცოდავი!



ნახ. გ. ფირცხალავასი

თბილვაქრობის მაღაზია № 101-ში ამ ცოტა ხნისწინ რომ აქტი დაიწერა, ისეთი მაგარი აქტი, სიმართლე უნდა ითქვას, კარგა ხანია არ დაწერილა. რომ იტყვიან წვეთი არ გავარდებოა, აი, სწორედ ისეთი იყო. „შევაღვინეთ ესე აქტი“, — ასე იწყებოდა, — „მასზედ რომ სავაქრო ობიექტ № 101-ში კოლექტივიზაციის ქ. № 13-ში, გამყიდველმა მარიამ გოგოლაძემ მომხმარებელ ტერეზა სამოელის ასულ ჯიოევს, მცხოვრებს საბ. ქოს ქ. № 343-ში, 1 კგ შაქარში წონაზე დააკლო 50 გრ.“ და შემდეგ მიდიოდა ისეთი დამხმარე სიტყვები, რომლებიც აქტს სიცხოველეს სრულებითაც არ უქარგავდნენ. ბოლოს კი, როგორც წესი, ეწერა აქტის შემდგენელთა გვარები პ. ბრეგვაძე და ს. ფილოვეგი. ხოლო სულ ბოლოს კი, აქტის სიმართლეს ვადასტურებთო, წერდნენ მ. გოგოლაძე და ტ. ჯიოვეგი. ხელწერაც და გვარიც ისე გარკვევით ეწერა, თითქოს მკითხველს ეუბნებოდნენ: აი, ეს ჩვენა ვართ, წამკითხველებო, და თქვენ იცით და თქვენმა კაიკაცობამო.

— კარგად კი აუწყაპნია ამ მამაცხონებულს, არა?!

— ამ რაოდენობის შაქარს მე, მაგალითად, შვიდ ჭიქაზე თავისუფლად ვიმყოფინებდი.

ასეთი ტკბილი საუბრით წარადგინეს მშრომელთა დეპუტატების ლენინის სახ. რაისაბჭოს აღმასკომის სავაქრო განყოფილებაში აქტი, აღმასკომმა თბილვაქრობას გადაუგზავნა, თბილვაქრობამ საქმე პროკურატურას გადასცა და გული დაიარხებინა. პროკურატურამ საქმის ნორმალური წარმართვისათვის დაზარალებული ტერეზა სამოელის ასულ ჯიოევს გამოძახების უწყება გაუგზავნა და გაფრთხილებაც ზედ მიაყოლა — თუ არ გამოცხადდები შავი დღე დაგადგებოა. მაგრამ ტერეზა არსად ჩანდა. ის იყო ეფექტურ ზომებზე უნდა გადასულიყვნენ, რომ მოვიდა საბინაო სამმართველოდან ცნობა — ასეთი გვარის ქალი მეზობლებშიც კი არსად გავგივონიაო.

— აჰ, არ შეიძლება რომ ტერეზა ჯიოვეგი სადმე არა ცხოვრობდეს. — ჩაილაპარაკეს ინსპექტორებმა და სამისამართო ბიუროს შეკითხვა გაუგზავნეს. სამისამართო ბიუროში მეცხრე, თუ მეთვრამეტე დავთარში როგორც იყო იპოვეს ჯიოვეგი, პასუხი შემკითხველს აცნობეს და იქვე დასძინეს — აღნიშნული მოქალაქე საბჭოს ქუჩა № 343-ში კი არა, მოლოკოვის ქ. № 7-ში ცხოვრობს და ცხონებულ მის მამას სამოელი კი არა შიბოი ერქვაო.

— ივანეს ქუჩაზე ცხოვრობს, თუ პეტრესი, რა მნიშვნელობა აქვს მის მამას კირილე ერქვა, თუ კვირიკე, არც ეგ არის მაინცდამაინც სადავო, — ჩაილაპარაკეს ინსპექტორებმა და პროკურატურაში გამოძახებულ ჯიოევს შესახვედრად წავიდნენ.

— ეს არის?!

— აჰ, არა, ეს როგორ არის! — ჩაილაპარაკა ბრეგვაძემ.

— იმას შავი ფერის თმა ჰქონდა. — დაუდასტურა ს. ფილოვეგმა.

— იქნებ თმა შეიღება?

— რალა დროს ჩემი თმის შეღებვაა, ადამიანო, ორი შვილის დედა ვარ.

— არა... არა... ეს არ არის ტერეზა ჯიოვეგი!

— მე ვარ, ქა, ტერეზა ჯიოვეგი, მაშ ვინ არის?!

— არა ხარ-მეთქი, ქალო, აბა შენ თუ ხარ, გვითხარი, შენ მოგატყუეს 50 გრამ შაქარში თბილვაქრობის მაღაზია № 101-ში? შენ მოაწერე აქტს ხელი?

— არა, ქაა, შაქარში კი არა, წიწაკაშიც კი ვერავინ მატყუებს, ეგ მაღაზია თვალითაც არ მინახავს და წერით ხომ ჯვრის მოხაზვის მეტი არაფერი ვიცი.

— ჰოდა არა ხარ შენ ტერეზა.

— ტერეზა ვარ, ქა, თუ არა გჯერათ, ჩემს ქმარს კითხეთ!

— არა, ამხანაგო მოტყუებულს ინსპექტორებო, ეს კი ნამდვილად ტერეზა ჯიოვეგია, მაგრამ თქვენს აქტში მოყვანილი მომხმარებელი ვინ არის, ანდა თქვენ როგორა ხართ ინსპექტორები, როცა არ იცით, რომ აქტის შედგენის დროს დაზარალებულს პასპორტი უნდა მოსთხოვოთ და მოწმე დაისწროთ, აი ეს არის საკითხავი.

მაგრამ ვაითუ ეს ყველაფერი იცით და... კიდევ მაგრამ...

3. მამუქელაშვილი



ყველა ღვინოს ერთად უნდა სახალწლოდ მოიღვინოს! მკერდზე ნომრებს მოხევენ, თავი უყვარს ყოველ ღვინოს... ნაფარეულს წინანდალის გვერდით უნდა ილიღვინოს, — ტვიშის ტკბილი ხმა შეეწყოს კვლავ ხვანჭკარის მჩქეფარ კილოს! ცოლიკოურს გული უცემს, ფერხათს უნდა იგვირგვინოს, — ცალკე დაჩჩა რვა ნომერი, იქნებ კიდევ მოიწყინოს. მაგრამ რაც ვხვით — ის ეყოფა, რქაწითელით არ გვირქინოს — ვინც სახელი მათ წაართვა კაცმა როგორ არ ამხილოს?! — სახალწლოდ უბრძოლია ყოველ კაცს და ყოველ ღვინოს!

დელი-ოდინაგაჰი

მნიშვნელოვანი წვრილმანები

გულუხვი, მდიდარი უნდა იყოს ეს ახალი, 1954 წელი. ქალაქიდან აგრონომ-ტექნიკოსთა მთელი ლაშქარი დაიძრა სოფლისაკენ, აგროტექნიკის ისეთ გაუმჯობესებას გვპირდებიან, რომ ბელლებს სახურავი ახადოს უხვმა მოსავალმა. ბოჩოლასა და მის ბარაქას სასახლესავით სადგომებს უგებენ, შიგ ელექტრონი გაჰყავთ, რომ საანგარიშოს ბორბლებზეც ველარ დაეტიოს ტყავისა და ხორცის, ერბო-ქარაქისა და რძე-მაწვნის რაოდენობა.

ჩვენი სავაჭროების თაროები ნაირნაირი საქონლით აივსება და რა გინდა სულს და გულს...

„რა გინდა“ ღრმა ფიქრში წამილო და ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელობის გარშემო შემომატარა. მართლაც და უხვი საქონელი ხომ თავისით არ მოგვივა სახლში, თავის დროზე მოტანა და ადამიანურად გაყიდვა სჭირდება. მაგრამ ზოგადი ფიქრებით ცოტა გადავაქარბე, მოდი, მეგობრებო, კონკრეტულად დავფიქრდეთ:

ახლა შუალამეა. 15-20 წუთის შემდეგ თელასის მონტიორი სახელურის ერთი მოქნევით ისეთ სიბნელეს ჩამომიგდებს, რომ თუ ბებიას ნაქონი ნავთის ლამფა არ მოვიშველიე, თვალში შეიძლება საკუთარი თითი ვიტაკო. ლამფას მოვიშველიებ, მაგრამ ამ ლამფის შუშა ჯერ კიდევ მაშინ შემომატყდა ხელში, როცა საბავშვო ბაღში წასაყვანად მამზადებდნენ და ახლა კი, თბილისში „ზიმსა“ და „პობედას“ უფრო ადვილად იშოვი კაცი, ვიდრე ოც, ან ოცდაათ ნომერ ლამფის შუშას. ნაცარტუტის ორშაურნიანი ნაწარმის მოტანა-გაყიდვა პრობლემად გადაიქცა.

რაკი ჩემი ბავშვობის პერიოდი გავიხსენე, ოცნებით სარკმელში ვიყურები და მახსენდება თავზე თაბახდადგმული მემწვანილე, რომელიც ლოგინიდან ადგომას არც კი დაგაცდიდა, ისე შემოგთავაზებდა პრასა-ნიახურს. ის დრო, როგორც მოგვხსენებათ, თაბახ-მემწვანილესთან ერთად წავიდა, ამეამად ტექნიკა იმდენად განვითარდა, რომ ცხენი და ხარ-კამეჩი ავტომანქანით გადაგვყავს, მაგრამ ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა იმდენი ვერ მოახერხეს, რომ ერთი მანეთის მწვანისათვის, ვაკეში მცხოვრები ყოფილ ვერის ბაზარზე და პლესანოვის პროსპექტის მკვიდრი ყოფილ „დებერტირაზე“ არ წავიდეს. აქ და ბაზრიდან მოცილებულ სხვა რაიონებში მდებარე ორთაქალის კოლმეურნეობის წერტები, ერთ დღეს რომ კამას ყიდიან, მეორე დღეს ოხრაბუში მოაქვთ, მესამე დღეს ქინძი და უცადე როდის შეაგროვებ სუნელის აუცილებელ კომპლექტს. განა თბილისელებს მწვანელი არა გვაქვს?!


ორი თვეა ვეძებ ჩვილი ბავშვის მატყუარა საწოვარას, ამის მოტანისა და გაყიდვისათვის განკუთვნილმა ძიებმა დღემდე ვერ გაიგეს, რომ ქალაქში ასეთი უბრალო რამ არ იშოვება, და ახლა თუ შეუქვეთეს სათანადო საწარმოს მისი დამზადება, ვიდრე მოიტანენ და გაყიდვას დაიწყებენ, ჩემ ჩვილ ბავშვს ალბათ უკვე ჩოხა-ახალუხი დასჭირდება.

... პირველის ოცი წუთია და თელასის მონტიორს სინათლე ჯერ არ ჩაუქრია. ალბათ სადმე ნუნუა იკაშნიკა და ღვინის გამოთიშვა დაავიწყდა. (ვინ დაალევინა, ვინ გამახარა, იმ ოჯახაშე-

ნებულმა!). ეს დალოცვილი ელნათურა ისე ანათებს, რომ დგამების ქვეშაც კი სინათლეა. მიხარია, კარადის ქვეშ შეფრქვეულ სინათლეს თვალს ვატან, და... კარადის ქვეშ ბევრსავერდოვანი წრუწუნა შემოცუნცულდა, თავი დამიკრა. იცინის, თუ სანოვავის სუნმა მოგვარა ნერწყვი და კბილები იმიტომ გამოყარა, არ ვიცი, ერთი კია, მესამე თვეა დავდევ ამ წრუწუნას, ორი ცოცხი დავამტვრიე და ამ ყაჩაღს კი ბოლო ვერ მოვუღე. ორ ფეხზე შედგა პატივცემული წრუწუნა, მხედრული სალამი ამილო და მეუბნება: თბილვაკრობის დირექციისგან სალამი მოგართვით. სალამი რა ჯანდაბათ მინდა, მე ერთი უბრალო მახე მირჩევენია, რომელიც ყოველთვის უნდა იშოვებოდეს სათანადო სავაჭროებში. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები კი მსგავს „წვრილმანებზე“ ზრუნვით თავს არ იწუხებენ.

ძალიან შორს წამიყვანა წვრილმანებზე ფიქრმა. კიდევ რამდენი რამის ჩამოთვლა შეიძლება, რაც არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული და უიმისობა კი საკმაო სიძნელეს ქმნის მომხმარებლისათვის. წვრილმანისაგან ხომ მსხვილმანი დგება?..

თუმცა, ეს ყველაფერი გასული წლის ნამოღვაწარი გახლდათ და მომავალ, ახალ წელს, თავსაყრელ საქონლის გარდა, იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები გვემის შესრულების გარდა, მომხმარებლის ყოველდღიურ მოთხოვნილებაზეც იფიქრებენ.



მე უამრავ ღვინოს ვხვამდი, შენ უამრავ ბოთლებს ლეწდი, — და ერთმანეთს ვერც კი ვკოცნით წარმოების ორა ტრესტი.

მარცხენა ფეხზე ადგა იმ დღეს თბილპურვაქრობის № 15 მაღაზიის პურის გამყიდველი ა. ზანგურაშვილი. ჯერ გარდაცვლილი მამიდა გამოეცხადა სიზმარში, რომლის ნახვა ყოველთვის ცუდად აუხდება ხოლმე. ახლა, მაღაზიაში სულ რაღაც 40 კილო პურიც არ ექნებოდა გაყიდული, რომ ინსპექტორი წამოაღდა თავზე და 15 გრ. შავი პურისთვის აქტი შეუდგინა.

— აახ, ეს თბილვაქრობა ზოგისთვის, ძმაო, თბილია და ზოგისთვის ცივი, — გადასძახა მეზობელ გამყიდველს ზანგურაშვილმა, — ამასწინ ჩვენი სისტემის № 15 მაღაზიის გამყიდველმა ჯიმშელიშვილმა ორ წონაში მომხმარებელს 460 გრ. პური დააკლო, მე რომ დამეკლო, ალბათ საქმეს საციხედ გამიხდიდნენ, იმას კი მარტო მოხსნა და საყვედური აქმარეს.

— ნათლიმამა ეყოლებოდა... ნათლიმამა... ამას წინათ, თბილკვებვაქრობის მაღაზია № 1-ში ინსპექტორმა ყუფარაძემ გამყიდველ

ხუტუნაშვილს 15 გრამით დააკლო ვის სასარგებლოდ დაყენებულ სასწორზე რომ აქტი შეუდგინა, ცოდვისაგან დაეფვი, ვიფიქრე, ეგ არის, საწყალი კაცი ციხეში ჩავარდა-მეთქი, მაგრამ ისე შენ არ გეწყინოს არაფერი, როგორც იმას არაფერი ეწყინება.

— ჩვენს ეზოში წვიმა მოდის, თქვენს ეზოში დარიაო. ჩაილილინა ვილაცამ ქუჩაში.

— მარტო წვიმა რომ იყოს, არა უშავსრა, სეტყვაც მოდის, სეტყვაც. აი, დღეს იმისთანა სეტყვა მოვიდა, რომ ჯერ არც კი ვიცი რა შედეგით გათავდება.

დღის ბოლოს, როცა მაღაზიის დირექტორმა ა. ზანგურაშვილს შეატყობინა რომ 15 გრ. პურის დაკლებისათვის პასუხისგებაში ხარ მიცემულიო, არაფერი არ თქვა, ყაფაზეზე ჩამორიგებულ პურებს შეხედა და რაღაც უცნაურად ჩაილაპარაკა:


— ჩვენს ეზოში სეტყვა მოდის, თქვენს ეზოში დარიაო...

მ. კახელიშვილი

# ყურმთქურული ამბები



ერთმა დირექტორმა წაიკითხა თანამედროვე რომანი ქარხნის ცხოვრებიდან და სინანულით წამოიძახა: „ეჰ, ნეტავ ჩვენს ქარხანაშიც ისევე არ იყოს კონფლიქტი, როგორც ამ წიგნში არ არისღ“



კვირა დღეს ქალაქგარეთ გავისეირნე. გზის პირას ჩამომჯდარ მამა-შვილს შორის ასეთ დიალოგს მოვკარი ყური:

— აი, მამა, ის ხე, შენ რომ გადაყლაპავს უპირებდი!

კაცს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ჰო, არ გახსოვს? — განაგრძო ბიჭუნამ. — შარშან რომ ალუბალს ჰამდი და კურკის გადაყლაპვაც გინდოდა; ის კურკა ხომ მე წაგართვი, მერე სკოლის მოწაფეებთან ერთად აქ დავთესეთ.



ამას წინათ ჩემი მეგობარი დაქორწინდა. ცოლის მოყვანამდე კაპიტალურად გაარემონტა თავისი 18 კვ. მეტრიანი ოთახი. რემონტის დროს აღმოჩნდა, რომ კედლებზე ერთმანეთის ქვეშ 16-მდე შპალერი ყოფილა გაკრული, დაახლოებით 5 სმ სისქისა. მათი გადაფხევის შედეგად ოთახის ფართობმა ერთი მეტრით მოიმატა. ასე რომ ჩემს მეგობარს ახლა 19 კვ. მეტრიანი ოთახი აქვს.

ელ. შიშიანი

მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ აფიშებს ათვალეირებდნენ პატარა მოსწავლეები. უეცრად ერთმა საყელოჩამოხეულმა და მელნით მოთხუპნულმა ბიჭუნამ განაცხადა:

— მე არასდროს არ შევალ ამ თეატრში!

— რატომ?

— ვერ ხედავთ რა სწერია აფიშაზე? აქაც ოთხი მოქმედება ყოფილა!

— მართალს ამბობ, სკოლაშიც გვეყოფა არითმეტიკა. — დაუდასტურა მეორემ.

**ნიანგის კი ვარ უხველა**

„ნიანგის“ № 18-ში მოთავსებული ფელეტონი „მარგარიტას შავი თვალები“ ეხებოდა მეჩნიკოვის ქ. № 11-ში მცხოვრებ მარგარიტა აივაზიანის აღმშფოთებელ ყოფაქცევას. მას აღნიშნულ ბინაში მოწყობილი ჰქონდა გარყვნილების ბუდე, მიჰყავდა სახლში უცხო „სტუმრები“, ხულიგნობდა, ავიწროებდა მეზობლებს.

ამ აღვირახსნილი მოქმედების აღსაკვეთად მოლოტოვის რაიონის სახალხო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება მარგ. აივაზიანის ბინიდან გამოსახლების შესახებ. უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი დაამტკიცა, ხოლო მილიციის მე-8 განყოფილებამ ამოსწერა აივაზიანი ბინიდან.

ფორმალურად თითქოს ყველაფერი რიგზე გამოდის, მაგრამ.. — გამასახლეთ, მერე რა? — განუცხადა მილიციის მე-8 უბნის წარმომადგენელს მარგარიტამ, — მე ამ სახლში საკუთარი არაფერი მაქვს, გარდა... წიგნებისა, ყველაფერი მამაჩემს ეკუთვნის, ოთახებიც, მოწყობილობაც, წიგნებს ვენდობი მამაჩემს, ისე კი, სტუმრად მოსვლას ვინ დამიშლის?

და მარგარიტა „გადასახლდა“. გადის დღეები. „სისრულეში“ მოყვანილ განაჩენს სადღაც უჯრაში მტვერი ედებოდა, ხოლო ბინიდან ამოწერილი მარგარიტა აივაზიანი „მამის კუთვნილ“ ბინაში, კვლავ განაგრძობს აღვირახსნილ თარეშს, ხითხითებს, დასცინის სასამართლოს, მილიციას, შეურაცხყოფს მეზობლებს და ასე გასინჯეთ კვლავ ღებულობს „სტუმრებს“. 12 დეკემბერსაც მილიციის მე-8 განყოფილებამ კვლავ დააკავა გრიგოლ აივაზიანის ბინაში მარგარიტასთან ერთად 2 ქალი და 1 მამაკაცი, რომელთაც არავითარი ნათესაური კავშირი არ აღმოაჩნდათ ამ ოჯახთან.

ნიანგს საინტერესოდ მიაჩნია მთელი ეს „გამოსახლებბანა“. ნუთუ მოლოტოვის რაიონის სახალხო სასამართლოში ეს საქმე ისეთმა გულუბრყვილო ადამიანებმა გაარჩიეს, რომ მათ ვერ გაითვალისწინეს მარგარიტა აივაზიანისათვის კუთვნილი ფართობის ჩამორთმევა, მისთვის კუთვნილი ბარგის გამოტანა და საერთოდ ამ გარყვნილი ადამიანის ნამდვილად გამოძევება?



ნან. გ. ფირცხალავასი

**ავემოკრებში**

შერჩებოდა სული ავტოს, მშვიდად ღამე რომ ეთია, — ეს სურათი ერთ-ერთ უცნობ შოფრის ავტოპორტრეტია.

**ნიანგის უხველა**

„ნიანგის“ გასული წლის № 20-ში მოთავსებული იყო ფელეტონი „გულამაყუჩებელი განაჩენი“. ფელეტონი ამხელდა სისხლის სამართლის დამნაშავეს ი. უსოევის უსაფუძვლოდ განთავისუფლების ფაქტებს. როგორც ქალაქ თბილისის პროკურორი ამხ. ვ. ხმალაძე გვატყობინებს, სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რის მიხედვითაც ბრალდებული ი. უსოევი უდანაშაულოდ არის ცნობილი, გაპროტესტებულია სტალინის რაიონის პროკურატურის მიერ. პროტესტი მიიღო საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და განაჩენი გააუქმა. საქმე ხელახლა გასარჩევად დაექვემდებარა სხვა უბნის სახალხო სასამართლოს.

ჟურნალ „ნიანგის“ 1953 წლის № 18-ში მოთავსებული იყო წერილი „მზიდველი № 31“, რომელიც ეხებოდა თბილისის რკინიგზის სადგურში ხელბარგის მზიდველის უწესო მოქმედებას.

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის უფროსი, მოძრაობის ინჟინერ-მაიორი ამხ. შ. გოქაძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. მზიდველ რაზგოევის მიმართ, რომელიც მგზავრს უხეშად მოექცა, მაშინვე მიღებულ იქნა მკაცრი ზომები. მას დიდი ხნით ჩამოერთვა ბარგის ზიდვის უფლება და მომხდარი ფაქტი განიხილეს თბილისის სადგურის მზიდვეთა საერთო კრებაზე.

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 12/1 1954 წ. სტამბა „ბარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2604 გამოც. № 24 ტირ. 15.000 უე 00180.

გული უძგერს კვლავ მანქანას,  
წელს გუგუნით მოხდევს წელი, —  
და ითხრება წლითიწლობით  
ძველი ქვეყნის საფუძველი.

საქართველოს  
ბიზნისი

საქართველოს სსრ-ის მთავრობის  
შეწყობის  
33  
1/11

